საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5505
21/09/2022

5505-21-2-202209211725

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4316, №4317 და №4318 სკრინინგის განცხადებები, რომლებიც ეხება საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (E-60) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (№2, №4 და №9 საცხოვრებელი ბანაკის მოწყობა) პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებები უნდა მოიცავდეს საცხოვრებელი ბანაკების პროექტებით გათვალისწინებული ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტის მოწყობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების აღწერას;
- დაზუსტებას საჭიროებს ბანაკების მოწყობის პროცესში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ამოსაღები გრუნტის მოცულობისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამზარეულოდან გამომავალ საკანალიზაციო მილებზე დაგეგმილია ცხიმდამჭერის მოწყობა, შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბანაკების მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში აღნიშნულ ცხიმდამჭერებში წარმოქმნილი ნარჩენის შემდგომი მართვის შესახებ;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საცხოვრებელი ბანაკების ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, შესაბამისად, სკრინინგის განცხადებებს თან უნდა ერთოდეს გამწმენდი ნაგებობის საპასპორტო მონაცემები და განთავსების GPS კოორდინატები;
- №4317 სკრინინგის განცხადების თანახმად, №4 ბანაკის ტერიტორიის დასავლეთ მხარეს, გზის გასწვრივ არსებული ფერდის გასამაგრებლად გათვალისწინებულია 2 რიგისა და 32 მეტრი სიგრძის გაბიონის კედლის მოწყობა. აღნიშნული საქმიანობა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის თანახმად, საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას, შესაბამისად „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განცხადება უნდა მოიცავდეს

მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ, ამავე მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით;

- №1418 სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ობიექტის ტექნიკური და სამეურნეო წყალმომარაგება მოხდება ჭაბურღილიდან“. დაზუსტებას საჭიროებს ჭაბურღილის მოწყობის შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი უნდა იყოს, თუ როგორ მოხდება ჭაბურღილიდან წყალაღება. იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული იქნება ტუმბო, წარმოდგენილი უნდა იქნეს ტუმბოს წარმადობა, განთავსების GPS კოორდინატების მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს წყლის სამარაგო რეზერვუარის პარამეტრები (სიგრძე, სიგანე, სიღრმე);
- №1418 სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სამშენებლო ბანაკების ექსპლუატაციის ხანგრძლივობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილებების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო